ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3970843

ნომერი: AR1595940

თარიღი : 26.04.2018

გაცემის თარიღი : 21.05.2018

გაცნობის თარიღი : 03.12.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაბა წყნეთი , ქუჩა სტალინის , N 2 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა ჭუმბურიძე პ/ნ 01018003942
- თბილისი მ.ზანდუკელის ქ. N 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 28 ნოემბრის №3687557 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 26 აპრილს №AR1595940 განცხადებით მომართა ნიკა ჭუმბურიძემ და ამავე სამსახურის 2017 წლის 28 ნოემბრის

№3687557 ბრძანებაში უკანა ეზოს რეგულირების ხაზთან დაკავშირებით ტექნიკური ხარვეზის გასწორება მოითხოვა. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 28 ნოემბრის №3687557 ბრძანებით ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, სტალინის ქ. №2-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.010.435), ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2017 წლის 28 ნოემბრის №3687557 ბრძანებაში უკანა რეგულირების ხაზთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომის გასწორება, რადგან განმცხადებლის განმარტებით, მიწის ნაკვეთისთვის დადგენილია უკანა ეზოს რეგულირების ხაზი და ბრძანებაში აღნიშნულის თაობაზე ჩანაწერი გამორჩენილია.
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 28 ნოემბრის №3687557 ბრძანებაში და ველში „უკანა ეზო“ მიეთითოს: იხილეთ დანართი. ასევე, ველში - „მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე“ მიეთითოს: განისაზღვროს საზოგადოებრივი საზღვრის მხრიდან და უკანა ეზოდან, ფორმულით H=L/Y.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 28 ნოემბრის №3687557 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 28 ნოემბრის №3687557 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.